ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 20

19 მაისი, 2023 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

12:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ნასახლარის ქუჩისთვის ლაშარელას სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, უდაბნოს მონასტრის III შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ისტორიკოსის მიხეილ გაფრინდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ნატალია სამქანაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ.
4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, თეთრიწყაროს ქუჩის გაგრძელების შესახებ.
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის I შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის სპორტსმენის დავით ციმაკურიძის სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სამგორის ქუჩისთვის და ციხისძირის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის ლეო და ნოდარ გაბუნიების სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი ჩიხისთვის მსახიობის ნინო დავითაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის მომღერლის მაია თომაძის სახელის მინიჭების შესახებ.
10. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, სანდრო ახმეტელის ქუჩისთვის მსახიობის თამარ სხირტლაძის სახელის მინიჭების შესახებ.
11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში აკაკი ვასაძის ქუჩისთვის რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახელის მინიჭების შესახებ.
12. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის ქუჩისთვის მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ.
13. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთისთვის და გიორგი ჩიტაიას ჩიხისთვის ილუზიონისტის ზურაბ ვადაჭკორიას სახელის მინიჭების შესახებ.
14. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის ბოჭორმის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

15. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის, მნათობის ქუჩის მონაკვეთისთვის, პეტრე ბაგრატიონის ქუჩის მონაკვეთისთვის, პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთისთვის, მნათობის ჩიხის მონაკვეთისთვის მწერლის ზაირა არსენიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
16. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მნათობის ჩიხის ორი მონაკვეთისთვის მნათობის I და II ჩიხების სახელის მინიჭების შესახებ.
17. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ორხევის ქუჩისთვის და ორხევის I გასასვლელისთვის დრამატურგის გია ბადრიძის სახელის მინიჭების შესახებ.
18. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სვანეთის ხევის ქუჩისთვის და შალვა ცინცაძის I შესახვევისთვის საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ნიჟარაძის სახელის მინიჭების შესახებ.
19. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სანერგეს ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის, შესახვევებისთვის და გასასვლელებისთვის სპორტსმენის გიორგი სხირტლაძის სახელის მინიჭების შესახებ.
20. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით ჭიჭინაძის ქუჩისთვის რეჟისორის ზაზა ურუშაძის სახელის მინიჭების შესახებ.
21. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირთან არსებული უსახელო სკვერისთვის რეჟისორის გიზო ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ.
22. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ასი ათასი მოწამის სახელობის ქუჩის გაგრძელების, მიხა ხელაშვილის ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევებისთვის ასი ათასი ქართველი მოწამის I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.
23. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნორიოს აღმართისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
24. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
25. ქ.თბილიში, ნაძალადევის რაიონში აბესალომ ვეკუას ქუჩის გაგრძელების შესახებ. 06-032312849-03.
26. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, რკინიგზის ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელის მინიჭების შესახებ.
27. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, გარეკახეთის ქუჩისთვის ხელოვნებათმცოდნე გურამ აბრამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ. 19/032312457-03.
28. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ფარიხან სოფიევას სახელის მინიჭების შესახებ.
29. ქ.ალაქ თბილისში, ისნის რაიონში, პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრთან არსებული სკვერისთვის მწერლისა და დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანის სახელის მინიჭების შესახებ
30. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩისთვის ენათმეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელის მინიჭების შესახებ.

31. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ტრანსპორტის ქუჩისთვის პოეტის, ფილოლოგის ანზორ აბულაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
32. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელის მინიჭების შესახებ
33. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული II შესახვევისთვის აკადემიკოს გივი ცინცაძის სახელის მინიჭების შესახებ
34. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნაძვების ქუჩის მონაკვეთისთვის ნაძვების I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
35. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში თიანეთის გზატკეცილის მონაკვეთისთვის მომღერლის ლევან კბილაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
36. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის შმაგი ხაიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი, რომელიც შეეხება მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ნასახლარის ქუჩისთვის ლაშარელას სახელის მინიჭებას. კომისიას ტაბახმელადან ნასახლარის ქუჩის მოსახლეობამ მიმართა და მოითხოვა სახელის ცვლილება. ნასახლარის ქუჩა გვაქვს ოქროყანაშიც. კომისიამ თამარ მეფის და ლაშა-გიორგის კონტექსტში შეარჩია ლაშარელას სახელი. კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მეორე საკითხი შეეხება საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, უდაბნოს მონასტრის III შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ისტორიკოსის მიხეილ გაფრინდაშვილის სახელის მინიჭებას. ქუჩა მდებარეობს საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, განაშენიანების ეტაპზე მყოფ დასახლებაში.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს, რომელსაც კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მესამე საკითხის თანახმად, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, გაგრძელდა ნატალია სამქანაშვილის ქუჩა.

ასევე სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში გაგრძელდა თეთრიწყაროს ქუჩა.

კომისიამ აღნიშნულ საკითხებს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

ასევე დადებითად გადაწყვიტა კომისიამ ისნის რაიონში, მელაანის I შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთისთვის სპორტსმენის დავით ციმაკურიძის სახელის მინიჭება. იგი იყო ქართველი სპორტსმენი, თავისუფალი და ბერძნულ-

რომაული სტილის მოჭიდავე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი. საპატიო ნიშნის ორდენის, ღირსების ორდენისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირიდან, თბილისის საპატიო მოქალაქე.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ დედაქალაქში არსებობდეს დავით ციმაკურიძის სახელობის ქუჩა.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეექვსე საკითხი, რომელიც შეეხება ისნის რაიონში, სამგორის ქუჩისთვის და ციხისძირის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის მინიჭებას. იგი იყო პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ანარქისტი. 1921 წლის თებერვალში, როცა ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო ჯარი დამოუკიდებელ საქართველოს უტევდა, ვარლამ ჩერქეზიშვილი იარაღით ხელში დაადგა კოჯრის გზას, დასაკარგად განწირული თავისუფლების დასაცავად. 1921 წელს გაიხიზნა საქართველოდან. ის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც გააკრიტიკა მარქსიზმი, მისი მიმდევრები და თავად მარქსი. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, ევროპაში გამოქვეყნებული ნაშრომებში, ქართველი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი ბრალს სდებდა მარქსიზმის ფუძემდებლებს და მათ მიმდევრებს პლაგიატში, დასავლელი მოაზროვნეების ნააზრევის მითვისებაში. კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია აღნიშნულ საკითხს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეშვიდე საკითხით, ვაკის რაიონში, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო შესახვევს ლეო და ნოდარ გაბუნიების სახელი მიენიჭება.

მერვე საკითხით გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ სამ ჩიხს მსახიობის ნინო დავითაშვილის სახელი მიენიჭება. იგი იყო მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. სამსახიობო კარიერის პირველი ნაბიჯები გადადგა ავჭალის აუდიტორიაში, შემდეგ მოღვაწეობდა ქუთაისის თეატრში, თბილისის ქართულ დრამატულ დასში, ხოლო 1921 წლიდან სამ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე იყო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის წამყვანი მსახიობი. კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს აღნიშნულ საკითხს.

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით დამისამართდება ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა და გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთი და მიენიჭება მომღერლის მაია თომაძის სახელი. იგი იყო მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი. გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თანამშრომლობდა მსოფლიოს წამყვან დირიჟორებთან; „გედის სიმღერად“ იქცა მის მიერ შესრულებული ეთერის პარტია ბათუმის საოპერო თეატრის სცენაზე. 1987 წელს მაია თომაძეს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. 1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაციია მისცეს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე საკითხები შეეხება მსახიობების თამარ სხირტლაძის, სანდრო ახმეტელის და აკაკი ვასაძის ქუჩების სახელდებას.

დიდუბის რაიონში, სანდრო ახმეტელის ქუჩას მიენიჭება მსახიობის თამარ სხირტლაძის სახელი, გლდანის რაიონში აკაკი ვასაძის ქუჩას მიენიჭება რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახელი და სამგორის რაიონში, წნორისწყლის ქუჩას მიენიჭება მსახიობის აკაკი ვასაძის სახელი. კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს აღნიშნული გადაწყვეტილება.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეცამეტე საკითხი. ჩუღურეთის რაიონში, გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთს და გიორგი ჩიტაიას ჩიხს ილუზიონისტის ზურაბ ვადაჭკორიას სახელი მიენიჭება. იგი იყო საქართველოს ილუზიონისტთა კლუბის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. ღირსების ორდენის კავალერი. ტერიტორია მდებარეობს ე. წ. მალაკნების ხიდის მიმდებარედ და არ არის ჩიტაიას ქუჩის ლოგიკური გაგრძელება.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს.
დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხით დამისამართდება ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხი და მიენიჭება ბოჭორმის I ჩიხის სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო მეთხუთმეტე საკითხი, რომელიც შეეხება ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებულ უსახელო ქუჩისთვის, მნათობის ქუჩის მონაკვეთისთვის, პეტრე ბაგრატიონის ქუჩის მონაკვეთისთვის, პაატა საკაძის ქუჩის მონაკვეთისთვის და მნათობის ჩიხის მონაკვეთისთვის მწერალ ზაირა არსენიშვილის სახელის მინიჭებას. საჯარო რეესტრთან კონსულტაციით საჭიროა სახელდების მოწესრიგება ხსენებულ ტერიტორიაზე, ქუჩას მიენიჭება თანამედროვე მწერლობის გამორჩეული წარმომადგენლის ზაირა არსენიშვილის სახელი, რომლის შემოქმედებამაც მოიპოვა სახალხო აღიარება. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

შემდეგი საკითხი შეეხება ჩუღურეთის რაიონში, მნათობის ჩიხის ორი მონაკვეთისთვის მნათობის I და II ჩიხების სახელის მინიჭებას.
ჩუღურეთის რაიონში, ორხევის ქუჩას და ორხევის I გასასვლელს დრამატურგის გია ბადრიძის სახელი მიენიჭება. გია ბადრიძე იყო ჟურნალისტი, კინოდრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. კომისიამ დადებითი რეკომენდაცია მისცა აღნიშნულ საკითხს.
მეთვრამეტე საკითხით ნაძალადევის რაიონში, სვანეთის ხევის ქუჩას და შალვა ცინცაძის I შესახვევს საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ნიჟარაძის სახელი მიენიჭება.
იგი იყო ეთნოლოგი, პუბლიცისტი, სასულიერო პირი, ფოლკლორისტი. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ სახელდებას.

მეცხრამეტე საკითხით ნაძალადევის რაიონში, სანერგის ქუჩას, მასთან არსებულ ჩიხებს, შესახვევებს და გასასვლელებს სპორტსმენის გიორგი სხირტლაძის სახელი მიენიჭება. იგი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.

კომისიის მიერ დამუშავებული მონაცემებით ნაძალადევის რაიონში არსებული სანერგე მეურნეობის კონტექსტში ქუჩას ეწოდა სანერგის ქუჩა. ეს სახელი ვერ იქნება მიჩნეული ტოპონიმურ სახელწოდებად, ნაძალადევში არსებულ სახელებთან კომპლექსური შედარებით სანერგის ქუჩა უფრო ინდუსტრიალიზაციის, მექანიზაციისა და კოლექტივიზაციის საბჭოთა პოლიტიკის პოპულარიზაციის მცდელობად აღიქმება. ვინაიდან ამ უბანში ცხოვრობდა გიორგი სხირტლაძე მაჟორიტართან კონსულტაციით შეირჩა სახელი. აღნიშნულ საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს.

მეოცე საკითხით ნაძალადევის რაიონში, დავით ჭიჭინაძის ქუჩას რეჟისორის ზაზა ურუშაძის სახელი მიენიჭება. ზაზა ურუშაძე თანამედროვე ქართული კინოს ბრწყინვალე წარმომადგენელია, მან მსოფლიო კინოსამყაროში მიიღო ყველა ის აღიარება, რაც წლების მანძილზე ქართულ კინოში თითზე ჩამოსათვლელია. მისი სახელი მიენიჭება ცოტნე დადიანის ქუჩასთან მდებარე დავით ჭიჭინაძის ქუჩას. დავით ჭიჭინაძე იყო მჭედელი, პარტიული და სამეურნეო მუშაკი.

დიდუბის რაიონში განხორციელდება სკვერის სახელდება და წერეთლის გამზირთან არსებულ უსახელო სკვერს რეჟისორის გიზო ჟორდანიას სახელი მიენიჭება. იგი იყო რეჟისორი, პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი. კომისიამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ საკითხს.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო ოცდამეორე და ოცდამესამე საკითხები. საბურთალოს რაიონში, ასი ათასი მოწამის სახელობის ქუჩის გაგრძელებას, მიხა ხელაშვილის ქუჩას და მასთან არსებული უსახელო შესახვევებს ასი ათასი ქართველი მოწამის I და II შესახვევის სახელი მიენიჭება. ამასთანავე ჩუღურეთის რაიონში, ნორიოს აღმართს, მასთან არსებულ ჩიხს და შესახვევს მიენიჭება საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის ქუჩის სახელი. ზემოაღნიშნული საკითხები გამომდინარეობს ერთმანეთიდან. კომისიაში შემოვიდა მიხა ხელაშვილის საზოგადოების განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ეროვნული გმირის სახელის მინიჭება შედარებით ცენტრალური და დიდი ქუჩისთვის. პირველ ეტაპზე კომისიამ შეისწავლა გარემოებები, მიხა ხელაშვილის ქუჩა მდებარეობს აღმაშენებლის ხეივნის მიმდებარედ, არის დაახლოებით 200 მეტრი. სახელდების დროს არსებობდა ქუჩის განვითარების პერსპექტივა, თუმცა არსებული ნაკვეთების ანალიზი ცხადყოფს,რომ დღეს ეს პერსპექტივა აღარ არსებობს. კომისიის მოსაზრებაა აღმაშენებლის ხეივნამდე გაგრძელდეს ასი ათასი მოწამის ქუჩა, მიხა ხელაშვილის ქუჩა ჩამოყალიბდეს ამ ახალი ქუჩის შესახვევად. რაც შეეხება მიხა ხელაშვილის სახელის დარქმევას, შესაძლებელია მისი სახელი მიენიჭოს ნორიოს აღმართს, მომავალში არსებობს ლოგიკური პერსპექტივა ქუჩა გაგრძელდეს ბოლომდე, დაახლოებით მახათას აღმართამდე. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხებს.

ჩუღურეთის რაიონში ერთი ქუჩის გეგმარებითი გამიჯვნით ყალიბდება სამი ქუჩა, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ შესახვევს ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის ქუჩის სახელი მიენიჭება. ასევე ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭება აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელი და ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ II შესახვევს მიენიჭება აკადემიკოს გივი ცინცაძის სახელი.

ჩუღურეთის რაიონში იცვლება ივანე მიჩურინის სახელობის ქუჩა. ივანე მიჩურინი იყო რუსი ბიოლოგი, მისი კავშირი საქართველოსთან გამოიხატება კოლმეურნეობებში მის მიერ გამოყვანილი ხილის ჯიშების გავრცელებით. ქუჩა სახელის ცვლილებასთან ერთად საჭიროებს ქალაქგეგმარებით დაზუსტებასაც, ერთი ქუჩის გეგმარებითი გამიჯვნით ყალიბდება სამი ქუჩა, რომლებსაც გვსურს ვუწოდოთ ჯემალ ცერცვაძის, ნანა ხაზარაძის და გივი ცინცაძის სახელები.

ოცდამეხუთე საკითხით ნაძალადევის რაიონში გაგრძელდება აბესალომ ვეკუას ქუჩა.
ასევე ნაძალადევის რაიონში რკინიგზის ქუჩას მიენიჭება საქართველოს ეროვნული გმირის ავთნდილ იოსელიანის სახელი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ ცვლილებას.
სახელდებები განხორციელდება ისნის რაიონში. კერძოდ გარეკახეთის ქუჩას მიენიჭება ხელოვნებათმცოდნე გურამ აბრამიშვილის სახელი. იგი იყო ხელოვნებათმცოდნე, ქართული ხელოვნების ისტორიის, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, პალეოგრაფიის მკვლევარი. კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

ასევე ისნის რაიონში განხორციელდება პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრთან არსებული სკვერის სახელდება და მიენიჭება მწერლისა და დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანის სახელი. ხსენებულ თეატრთან და სომხური კულტურის განვითარებასთან უშუალოდაა დაკავშირებული გაბრიელ სუნდუკიანი, მის სახელს ატარებს ერევნის დრამატული თეატრი. ვინაიდან ავლაბრის ტერიტორია დიდწილადაა დაკავშირებული სომხურ კულტურასთან, იქ მდებარეობს სომეხ საზოგადადო მოღვაწეთა ქუჩები, ერევნის სკვერი, მიგვაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო ხელს შეუწყობს სომხური კულტურის ხილვადობას თბილისში და ავლაბრის ტერიტორიის ტურისტულ პოტენციალს.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ისნის რაიონში განხორციელებულ სახელდებებს.

კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს მიენიჭება სახელმწიფო მოღვაწის ფარიხან სოფიევას სახელი. იგი არის პირდაპირი წესით არჩეული პირველი დეპუტატი ქალი მსოფლიოში საქართველოდან. კომისიამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ სახელდებას.
ჩუღურეთის რაიონში გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩას ენათმეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელი მიენიჭება. იგი იყო ენათმეცნიერი, 2005–2013 წლებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი, ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის საპატიო მოქალაქე. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ ცვლილებას.

დიდუბის რაიონში, ტრანსპორტის ქუჩას პოეტის, ფილოლოგის ანზორ აბულაშვილის სახელი მიენიჭება. იგი იყო პოეტი და ფილოლოგი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი. კომისიამ ასევე დადებითად შეაფასა სახელის ცვლილება.

ვაკის რაიონში, ნაძვების ქუჩის მონაკვეთს ნაძვების I შესახვევის სახელი მიენიჭება.

გლდანის რაიონში, თიანეთის გზატკეცილის მონაკვეთს მომღერლის ლევან კბილაშვილის ქუჩის სახელი მიენიჭება. ლევან კბილაშვილი ცხოვრობდა ხსენებულ ქუჩაზე. ცვლილება მიზანშეწონილია ქალაქგეგმარებითადაც, ქერჩის ქუჩასთან არსებული მონაკვეთი გახდება ლევან კბილაშვილის ქუჩა, ხოლო თიანეთამდე მიმავალი გზა, სოფელ გლდანში მიმავალი მონაკვეთის ჩათვლით იქნება თიანეთის გზატკეცილი.

სამგორის რაიონში, პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის შმაგი ხაიკაშვილის სახელი მიენიჭება. შმაგი ხაიკაშვილი დაიბადა და გაიზარდა სამგორის რაიონში, უბანში სადაც სკვერი მდებარეობს, შესაბამისად მიზანშეწონილია სახელდება, კომისიის ყოველ სხდომაზე არის ერთი ან რამდენიმე საკითხი, რომელიც საქართველოს დაცვისთვის წარმოებულ ბრძოლებში დაღუპული გმირების სახელდებას შეეხება.
კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს აღნიშნული საკითხები.

ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, წარმოდგენილი საკითხები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინიციატივებად დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე, რეგისტრაციიდან არაუადრეს 20 დღისა გაიმართება საჯარო განხილვა და ამის შემდგომ მოხდება საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე